სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი

კვლევა განხორციელდა
ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით

2016 წელი

I შესავალი

წინამდებარე ანგარიშით ფონდი „სოხუმი“, გენდერულ პარამეტრების გამოყენებით, შეეცადა სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის საბიუჯეტო ხარჯების განკარგვის მიზანმიმართულობისა და ეფექტურობის განსაზღვრას ქალთა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების მიმართ.
ამ მიზნით განხორციელებული იქნა ბიუჯეტის გენდერული ანალიზი, რაც ნიშნავს ქალებზე და მამაკაცებზე ბიუჯეტის განსხვავებული ზემოქმედების კვლევას. ის არის ზოგადი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და ბუნებრივია, მოითხოვს სქესის ნიშნით განცალკევებულ მონაცემებს.
იმ პირობებში, როცა ადგილობრივი ბიუჯეტი მისი დაგეგმვის ეტაპზე არაა გენდერული პარამეტრებით შედგენილი, ანალიზი იმისა, რა როლს თამაშობს ის მუნიციპალიტეტში გენდერული პოლიტიკის რეალიზაციაში, რთულია, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არაა. გენდერული ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით შეგვიძლია ქალზე და მამაკაცზე, ასევე სხვა სოციალურ ჯგუფზე ამა თუ იმ პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიული მიდგომის, ინსტიტუტის განსხვავებული ზემოქმედების გამოვლენა და შესწავლა.

კვლევის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები თუ შემუშავებული რეკომენდაციები მომავალი წლის ბიუჯეტზე მუშაობისას მთავარ ხელშემწყობ დოკუმენტად უნდა იქცეს, რათა ადგილობრივ დონეზე მაქსიმალურად იქნას ხელშეწყობილი უფრო ეფექტური გენდერული პოლიტიკის დანერგვა.
ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ადგილობრივ ხელისუფლებას კანონის ძალით ავალდებულებს ადგილზე გენდერული თანასწორობის პრინციპების ხელშწყობას. არსებული რეალობით, თვითმმართველობის მხრიდან ქალთა და სხვა სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების მხარდაჭერის პროგრამები უკვე არა მხოლოდ პოლიტიკური ნების გამოხატულებას წარმოადგენს, არამედ უნდა მოხდეს კონკრეტული ვალდებულებების აღება და რეალიზაცია, რაც პასუხობს ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს, მათ შორის გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსა და ამოცანებს, რაც თვითმმართველობებისთვის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი უნდა გახდეს.

IIრეზიუმე

სენაკის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დეკლალირებულია გენდერული თანასწორობის პრინციპის ხელშეწყობა და ამ დროისთვის არის ცალკეული მცდელობები, რათა მოხდეს მისი ინტეგრირება ცალკეულ პროექტებსა და პროგრამებში. განსაზღვრულია თვითმმართველობის გენდერული პრიორიტეტები (ინფორმირება, საგანმამათლებლო პროგრამების ხელშეწყობა, ცალკეული გენდერული ჯგუფის, მაგალითად შშმ პირების, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებები). ძირითადად გენდერული საკითხები ინტეგრირებულია სოციალური დაცვის პრიორიტეტში და თვითმმართველობის მესვეურთა

განცხადებით, გენდერულად მგრძნობიარე მიმართულებები - სკოლამდელი განათლების სერვისის განვითარება, მრავალშვილიანთა დახმარება, ხანდაზმულთა დაცვა, ახალგაზრდობის მხარდამჭერი პროგრამები ადგილობრივ ბიუჯეტში შეძლებისდაგვარად არის გათვალისწინებული.
მუნიციპალიტეტს არა აქვს მკაფიოდ გაფორმებული გენდერული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რაც აძნელებს, დანახული იქნას განხორციელებული გენდერული პოლიტიკის ეფექტი და გაკეთდეს ანალიზი. თუმცა წინა წლებთან შედარებით წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს გენდერულ პოლიტიკაზე პასუხისმგებლობის განსაზღვრა ერთერთი განყოფილებისთვის; ბიუჯეტში გაჩნდა პირდაპირი ჩანაწერი, რომელშიც განსაზღვრულია გენდერული ხარჯები ცალკეულ საკითხებზე (მაგალითად - ოჯახში ძალადობის მსხვერპლის მხარდაჭერა).

გენდერული ბიუჯეტის ერთერთი ძირითადი მახასიათებელია მისი გამჭვირვალობა და ჩართულობა, ანგარიშგების სისტემა, სქესის და სხვა ნიშნით განცალკევებული მონაცემების არსებობა. სამწუხაროდ, სენაკის თვითმმართველობის დონეზე არა თუ სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობის დეფიციტია, არამედ - ჭირს ზოგადად ადგილობრივი სტატისტიკის მოპოვება ნებისმიერ საკითხში (მაგ. სოციალური პროგრამებით მოსარგებლეთა სურათი თემების მიხედვით; ახალი პროგრამებისთვის ბენეფიციართა რაოდენობა, სკოლადამთავრებულთა შორის სტუდენტების რაოდენობა. სამ და ოთხშვილიანი ოჯახების რაოდენობა; ბუნებრივი მატების მაჩვენებელი; მიგრაციის მასშტაბების მაჩვენებელი. ქალების ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებელი და ა.შ.).
სენაკის თვითმმართველობის ბიუჯეტის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც აუცილებლად უნდა დადგეს ადგილობრივი ხელისუფლების დღის წესრიგში, მათ შორის ყველაზე დიდი გამოწვევა, როგორც ჩანს, არის ადგილობრივი სტატისტიკის სისტემის არარსებობა. ასევე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოქალაქეთა საჭიროებათა კვლევის პრაქტიკის დანერგვა საბიუჯეტო ხარჯების უფრო მიზანმიმართული გამოყენებისა და ახალი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისათვის, რათა ადგილობრივი ბიუჯეტი უფრო მეტად იყოს მორგებული ადგილობრივი მოქალაქეების სოციალურ დაკვეთას და განაწილებული იქნეს სოციალური სამართლიანობის პრინციპით, აისახოს შედარებით გრძელვადიანი განვითარების პროგრამებში.
ამ კუთხით მისასალმებელია, მაგალითად, შემუშავების პროცესში მყოფი - ხანდაზმულთა შინმოვლის პროგრამა. ამ ეტაპზე ხდება ბენეფიციარების აღრიცხვა, მათი საჭიროებების განსაზღვრა, პროგრამის ღირებულების დათვლა და მისი ეფექტის დასადგენი ინდიკატორების შემუშავება.
ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განხორციელებაში პოზიტიურ როლს თამაშობს სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც აერთიანებს თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებს. მის მიერ ახალი საკანონმდებლო ცვლილებით 2017 წლის იანვრიდან დასანერგი, საკრებულოს გენდერული საბჭოსთვის მომზადებულია მეტად ნაყოფიერი ნიადაგი ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის, გენდერული ბიუჯეტის პრინციპის დანერგვისათვის, რომლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მსოფლიოს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელება, სადაც მე-5 მიზანი უკავშირდება გენდერული თანასწორობის პრინციპის რეალიზებას, რაც მოწონებულია ყველა ხელმომწერი ქვეყნის მიერ.

ჩატარებული კვლევის შედეგად წარმოდგენილი სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები შეეხება სწორედ იმ კონკრეტულ საჭიროებებს, რომელიც გააჩნიათ სენაკის ადგილობრივ სამოქალაქო ჯგუფებს, მათ ყველაზე მოწყვლად კატეგორიებს.

III ძირითადი ნაწილი

სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო შემოსულობები

სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა პროგნოზით 10 012.6 ათასი ლარი უნდა შეადგინოს, რაც მისი მოსახლეობის ერთ სულზე 193,3 ლარია. (შედარებისათვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის შემოსულობები მისი მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენს 715,3 ლარს, ქ. ბათუმის - 635,3 ლარს, ქუთაისის - 460 ლარს).

მუნიციპალიტეტის შემოსავლები 9 812,6 ათასი ლარია, მათ შორის: ადგილობრივი გადასახადი შეადგენს 21.4 % (100.0 ათასი ლარი); სახელმწიფო გრანტები - 69,7% (6 838.9 ათასი ლარი); სხვა შემოსავლები - 8.9 % (873.7 ათასი ლარი).

სენაკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების ზოგადი გენდერული პროფილი

სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯებია:

	დასახელება	გეგმა (ათასი ლარი)	%
1.	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2658.6	26.6
2.	თავდაცვა	95.0	0.95
3.	ეკონომიკური საქმიანობა	2766.8	27.7
4.	გარემოს დაცვა	805.0	8.0
5.	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	10.9	0.1
6.	ჯანმრთელობის დაცვა	124.7	1.2
7.	დასვენება, კულტურა და სპორტი	1482.1	14.9
8.	განათლება	1417.4	14.1
9.	სოციალური დაცვა	654.9	6.6
		10015,7	

გამოკვეთილი გენდერული პროფილის ხარჯს წარმოადგენს განათლების პრიორიტეტში გათვალისწინებული ხარჯი -1416,7 ათასი ლარი (მთლიანი ბიუჯეტის 14.1%). დანახარჯები, ძირითადად, მიდის სკოლამდელ განათლების სერვისის მხარდასაჭერად, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტით გათვალისწინებულია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.
მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1350 ბავშვი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ასევე ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.
მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯები გაიზარდა 70.0 ათასი ლარით და შეადგინა 1130,5 ათასი ლარი. ეს აისახა სკოლამდელთა კვებისა და დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებაზე.
მიუხედავად საკითხისადმი თვითმმართველობის ყურადღებისა, ჯერაც არ არის ცნობილი, რამდენი ბავშვია დარჩენილი სკოლამდელი განათლების სერვისის გარეშე. თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მართლია, ჯგუფები ხშირ შემთხვევაში გადატვირთულია, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა მსურველი ოჯახი დაკმაყოფილებულია. თუმცა, მოპოვებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ თვითმმართველობას და ბაღების გაერთიანებას ამ მხრივ სპეციალური მოკვლევა არ გაუკეთებიათ.
კვლევის შედეგად გაირკვა, რომ არსებობს სერიოზული პრობლემა: მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგებს და ბაღების პერსონალს დატვირთვა გაეზარდათ, ეს არ ასახულა მათ ანაზღაურებაზე. თავის მხრივ, დგას ბაღების პედაგოგ-მასწავლებლების კვალიფიკაციის საკითხიც: მათ დიდ ნაწილს არ აქვს უმაღლესი პედაგოგიური განათლება. ცნობილია ისიც, რომ კონტინგენტის გაზრდის პარალელურად არ მომხდარა ინფრასტრუქტურის მოწყობა. არსებობს პოზიცია, რომ „გარედან“ დახმარების გარეშე სენაკის მუნიციპალიტეტს გაუჭირდება სკოლამდელი განათლების სერვისის თანამედროვე სტანდარტებით გამართვა.

მუნიციპალიტეტში არის კომერციული ბაღების სისტემაც. სენაკში ოთხი ასეთი ბაღია. როგორც შეფასებებიდან ჩანს, ისინი ცდილობენ თამასა არ დაწიონ, რადგან კონკურენცია უწევთ სახელმწიფო ბაღებთან. თვითმმართველობის ფოკუსში ეს ბაღები არაა, რადგან ისინი კერძო ბიზნესის წყაროდ აღიქმება, მაგრამ არ ხდება მათი გამიჯვნა მუნიციპალური პროგრამებიდან (მაგ. გამოკვლევა ჰელმინთებზე), რაც მისასალმებელია.

ზოგადი განათლების კუთხით გათვალისწინებული ასიგნებები მიმართულია სენაკის მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის მონაწილეთა მოტივაციის ამაღლებაზე, ასევე სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებულ თანამშრომლობის, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით- საგანმანათლებლო დონის ამაღლებაზე.
მუნიციპალიტეტში არის 27 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, მათგან 20 საჯარო და 7 კერძო სკოლაა. მოსწავლეთა რაოდენობაა - 5 111, პედაგოგების საერთო

რაოდენობაა- 739. (მათ შორის ქალების და კაცების ხვედრით წილზე მაჩვენებლის მოპოვება ვერ მოხერხდა).

გენდერულად სენსიტიური ღონისძიებები თვითმმართველობაში ძირითადად მოიცავს გენდერული განათლების პროგრამებსა და პროექტებს. მიმდინარე წელს სენაკის თვითმმართველობას გამოყოფილი ჰქონდა ხარჯები გენდერული განათლების ხელშესაწყობად, როგორც ქალაქ სენაკში, ასევე - სოფლებში, რაშიც აქტიურად იყვნენ ჩართული სენაკის გენდერული საბჭოს წევრები. ფონდი „სოხუმის“ და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთობლივი პროექტის „სამოქალაქო განათლება გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოსათვის სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“ - ფარგლებში ქალაქის საბავშვო ბაღებში მასწავლებლებისათვის და მშობელთათვის ჩატარდა ტრენინგები ოჯახურ ძალადობასა და ეკოსანიტარიაზე. ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებისა და ახალგაზრდული ჯგუფებისთვის ერთობლივი ტრენინგები გენდერისა და ოჯახური ძალადობის თემაზე; მუნიციპალიტეტის 14 თემში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები, მათთვის ადგილზე ჩატარდა ტრენინგები.

2014, 2015, 2016 წლებში ფონდ „სოხუმის“ თაოსნობით ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან ჩატარდა „გენდერული საჭიროებების შეფასება ადგილობრივი განვითარების კონტექსტში“. შემუშავდა რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობისათვის. მათი ნაწილი გათვალისწინებული იყო მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლის ბიუჯეტებში.

გენდერულად ორიენტირებულად შეიძლება ჩაითვალოს ასევე პროგრამა საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის - ქალაქიდან თემში და თემიდან ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლე მასწავლებელთა მგზავრობის სუბსიდირება. ამ პროგრამისთვის გათვალისწინებულია 60.0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, როგორც გენდერული პროფილის ხარჯი:

სენაკის მუნიციპალიტეტში 2016 წელს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გათვალისწინებულია - 779.6 ათასი ლარი, რაც 13 000 ლარით მეტია 2015 წელთან შედარებით. მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებაზე იხარჯება 124.7 ათასი ლარი (ბიუჯეტის 1.2%), ხოლო მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფაზე 654.9 ათასი ლარი (ბიუჯეტის 6.6%).

(სოციალური პროგრამები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურეობითა და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფას, შობადობის წახალისებას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სარიტუალო მომსახურებას, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფებისათვის სადღესასწაულო დღეებში დახმარებას, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარებას, სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის ღონისძიებების გატარებას, ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეთა სტაციონარული, ამბულატორიული და მედიკამენტოზური მკურნალობის დაფინანსებასა და თანადაფინანსებას, თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფი მოქალაქეების დახმარებას, იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დედ-მამით

ობოლი ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებას; აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპულთა ოჯახების და მშვიდობიან მოქალაქეების დახმარებას და სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფას).

ამ პროგრამებში განსაკუთრებით გენდერულად ორიენტირებულია ხარჯები, რომლებიც გაწეულია - შობადობის წახალისებაზე, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე, დედ-მამით ობოლი ბავშვების დახმარებაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა სოციალურ დახმარებაზე.

ირკვევა, რომ საბიუჯეტო პროგრამების შექმნისას არ ხდება შესაბამისი საჭიროებათა კვლევების ჩატარება, რაც ართულებს იმის გარკვევას, საკმარისია თუ არა გაწეული დანახარჯი, მოიცავს თუ არა ეს სახსრები ყველა კატეგორიას, როგორია მისი ეფექტი. აღნიშნული იქნა, რომ სოციალური და ჯანდაცვის კუთხით დახმარების გაწევის დროს მოქმედებს, უბრალოდ, „მოსწრების“ პრინციპი: ანუ - ვინც თანხის ამოწურვამდე „მოასწრებს“ ავად გახდომას, ის რჩება მოგებული.

მიუხედავად იმისა, რომ სენაკის თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნიათ კვლევებზე დაფუძნებული პროგრამები, ეს პრაქტიკა ჯერ დანერგილი არაა და მხოლოდ სენაკის გენდერული საბჭოსა და ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევების მაგალითებზე შეიძლება საუბარი.

გენდერულად ორიენტირებული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვანია, რამდენად ხდება მოქალაქეთა ყველა ფენის საჭიროების გათვალისწინება ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისას. ამ კუთხით საინტერესოა სოფლის კრებების პრაქტიკა. ესეც საჭიროებებზე ინფორმაციის მოპოვებაა, თუ, რა თქმა უნდა, სოფლის კრებებზე მოსახლეობის ყველა სეგმენტი არის წარმოდგენილი. გამოვლენილი იყო ნეგატიური პრაქტიკა, რომ ზოგჯერ ეს კრებები უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, ან მოწვევის დროს ხდება გარკვეული ჯგუფების, ყველაზე ხშირად - ქალების იგნორირება.

თვითმმართველობის წარმომადგენელთა აზრით, ახალი პროგრამების შემოღებაც და ძველ პროგრამებზე უარის თქმაც დასაბუთებულად, არგუმენტირებულად უნდა ხდებოდეს, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი კვლევები.

გამოიკვეთა უკმაყოფილება იმით, რომ ყოველთვის ჭირს საჭირო მონაცემების, სტატისტიკის მოპოვება, მაგრამ ყველა სამსახურის წარმომადგენელი ხელს იშვერს სხვა რგოლისკენ. სენაკში არსებობს სტატისტიკის სამსახური, მაგრამ როგორც თვითმმართველობის წარმომადგენლები აცხადებენ, ისინი ზემდომების ინსტუქციების შესაბამისად მოქმედებენ. მათ შეუძლიათ გასცენ რაღაც ინფორმაცია, მაგრამ ის შეიძლება, არ იქნეს მორგებული იმ კითხვებს, რომელიც საინტერესოა მუნიციპალიტეტისთვის. ეს ნიშნავს, რომ თვითონ თვითმმართველობამ უნდა იზრუნოს მსგავსი ინფორმაციის შეგროვებაზე. სენაკის სტატისტიკის სამსახურში ისიც კი ვერ განსაზღვრეს, სოციალურ დახმარებებს ვინ იღებს, რამდენი ბენეფიციარია თითოეულ სოფელში. არის ზოგადი ცნობა, რომ მუნიციპალიტეტიდან 5 000 კაცი იღებს სოციალურ დახმარებას, მაგრამ რომელ სოფლებში რამდენი - ძველი სენაკი, ეკი და ა.შ - კონკრეტულად, მათთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

მოყვანილი იქნა მაგალითი, რომ იყო მცდელობა, მრავალშვილიანი ოჯახის ზღვარი დაეწიათ - არა ხუთშვილიანზე, არამედ ოთხშვილიანზე გაცემულიყო დახმარება,

მაგრამ მონაცემი - მუნიციპალიტეტში რამდენია ოთხშვილიანი ოჯახი - ვერ მოიპოვეს. თმცა, იქვე იქნა დაფიქსირებული, რომ შესაბამისი ნების შემთხვევაში ეს მოხერხდებოდა.

წარუმატებლად დასრულდა ასევე წარჩინებული სტუდენტების წახალისების მცდელობა. მუნიციპალიტეტს გაუჭირდა მონაცემის მოპოვება, რამდენმა მოსწავლემ ჩააბარა უმაღლეს სასწავლებლებში. ეს მონაცემი სრულყოფილად ვერც რესურს-ცენტრმა, ვერც სკოლის დირექტორებმა ვერ მიაწოდეს.

გაჟღერდა, რომ საჭიროა თვითმმართველობისთვის საინტერესი სტატისტიკური მონაცემების მოსაპოვებლად დაიტვირთოს გამგეობის სპეციალისტები. შეიძლება ცალკე სამსახურიც კი შეიქმნას იმისთვის, რომ მსგავს ინფორმაციებზე იმუშაოს. ჩართული უნდა იქნენ თემში გამგებლის წარმომადგენლები. დაინერგოს შესაბამის სამსახურებთან ინფორმაციის გაცვლის და მოძიების სისტემა.

მუნიციპალიტეტში დანერგილია სხვა გენდერული ხარჯებიც: მუნიციპალიტეტის **მოსახლეობის ამბულატორიული მომსახურებისა და მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფის პროგრამის** ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი და მეურვეობას მოკლებული მოსახლეობის დღეში ერთჯერადად სადილით უზრუნველყოფა (გარდა კვირადღისა); ყოველკვარტალურად ტკბილეულისა და სადღესასწაულოდ - საჩუქრების გადაცემა. ქვეპროგრამის ბენეფიციართა რაოდენობაა 200 ბენეფიციარი. ამავე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია უფასო ამბულატორიული მომსახურების გაწევა მოქალაქეებისათვის მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა სამედიცინო პროფილის ექიმების მიერ ჯანმრთელობაგაუარესებული მოქალაქეების გამოკვლევას, ანალიზს, დიაგნოზირებას, რეცეპტის გამოწერას და გარკვეული მედიკამენტების უფასოდ ადგილზე გაცემას.
სენაკის მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე არ აქვს მოხუცთა შინმოვლის პროგრამა (ხორციელდება მხოლოდ ყოველკვარტალური ერთჯერადი დახმარება). როგორც გაირკვა, გამგეობის შესაბამისი სამსახური მუშაობს მოხუცების შინმოვლის პროგრამაზე, რომელიც ითვალისწინებს ექთნის, ექიმის მომსახურებას სახლში მიკითხვით. როგორც ითქვა, პროგრამა დაახლოებით 3 000 ლარი დაჯდება (მომართვიანობა, საჭიროებების შესწავლა. სპეციფიკური სამედიცინო მომსახურება, წამლები, მასაჟი). თუმცა, ზუსტად - რამდენი მოხუცია დარჩენილი მზრუნველობის გარეშე - ზუსტი ინფორმაცია ჯერ არ არსებობს.

სენაკში 2016 წელს პირველად განხორციელდა **ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა,** რომელიც ითვალისწინებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად მსხვერპლის იდენტიფიცირებისა და სტატუსის მინიჭების შემდგომ დაზარალებულ მოქალაქეზე დახმარების გაცემას. თუმცა ამ პროგრამით ჯერჯერობით არავის უსარგებლია. ეს პროგრამის კრიტერიუმების გადახედვის საჭიროებაზე მიუთითებს.
სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით მიმდინარე წელს გათვალისწინებულია შშმ პირების სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამები; კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს მხედველობადაქვეითებული, სენსორული პრობლემების მქონე პირების, ასევე

ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული მოზარდების დახმარების პროგრამას. პროგრამის ამოცანაა განვითარების შეფერხების რისკის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვისა და ოჯახის გაძლიერება.

ცხადია, ამ ჯგუფების საჭიროება არ არის დაკმაყოფილებული სრულად, ვინაიდან მათი სოციალური მდგომარეობის და დახმარების პოლიტიკა ყოველთვის ღონისძიებათა უფრო ფართო ქსელის ნაწილია, რაც გულისხმობს მათი მდგრადი დასაქმების, საცხოვრებელი პირობების, ჯანდაცვისა და განათლებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მხოლოდ ასეთმა კომპლექსურმა აქტივობებმა შეიძლება, გაანეიტრალოს მუნიციპალიტეტის სინამდვილეში მათი მდგომარეობა.
მუნიციპალიტეტში მიმდინარე წელს დონორების მიერ ორი სოციალური საწარმო დაფინანსდა, სადაც დასაქმებულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობის ქალები.

მთლიანობაში 2016 წელს მუნიციპალური ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამებით მოსარგებლე დაახლოებით 4000 მოქალაქეა, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 8%-ია. ფორმალურად სოციალური პროგრამებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში უზრუნველყოფილია ქალთა და მამაკაცთა თანაბარი ხელმისაწვდომობა მომსახურებაზე, თუმცა არ ხდება აღრიცხვა, პროგრამებით მოსარგებლეთა შორის რამდენია ქალი და რამდენი - კაცი. ეს აძნელებს იმის გარკვევას, ფაქტობრივად რამდენად თანაბრად მოხდა სარგებლის მიღება პროგრამებიდან სხვადასხვა გენდერული ჯგუფების მხრიდან.

<u>სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებზე დანახარჯების გენდერული ბუნება</u>

სპორტის ხელშეწყობის ღონისძიებათა პროგრამის ბიუჯეტია 600.3 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა. ამჟამად ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების 29 სექცია.
სპორტის ხელშეწყობის კუთხით ფუნქციონირებს სასპორტო გაერთიანება (რომლის შემადგენლობაში შედის სპორტის სასახლე, სასპორტო სკოლა). პროგრამის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს სპორტის პროპაგანდა, სპორტული მონაცემების მქონე ახალგაზრდების გამოვლენა, მათი დაოსტატებისათვის ზრუნვა, სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება. სპორტისა და ფიზიკურ აღზრდასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ორგანიზაცია.
ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს **გოგონათა და ვაჟთა გუნდები,** დღეის მდგომარეობით, სულ არის 151 სპორტსმენი. ექვსი გუნდი მონაწილეობს სამეგრელოს რეგიონის ჭაბუკთა გათამაშებაში,ხოლო ერთი გუნდი საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მეორე ლიგის გათამაშების მონაწილეა. ცენტრის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მოსწავლეების (სპორტმენების), აგრეთვე სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკებისა და გოგონების მზადების წლიური საწვრთნელო პროცესების ორგანიზება.

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტია -740.3 ათასი ლარი.
პროგრამის ფარგლებში ხორციელდება „კულტურის ცენტრის" სუბსიდიური დაფინანსება. იგი ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას,

თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან,
კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ბიბლიოთეკა, ერთი საჯარო, ერთი საბავშვო და 15 სათემო. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკები წლის განმავლობაში ემსახურება 10900 მკითხველს, მათ შორის I-IX კლასის 2800 მოსწავლეს. ბიბლიოთეკები იყო და რჩება მოსახლეობის ინფორმაციის ძირითად წყაროდ. მის მესვეურთა ინფორმაციით, ბიბლიოთეკით მოსარგებლეთა დაახლოებით ორი მესამედი ქალები და გოგონები არიან, თუმცა ზუსტი მონაცემების აღნუსხვა არ ხდება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პროგრამის ბიუჯეტი- 3 582,7 ათასი ლარი.
აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ძირითადი გზების ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება ქალაქის ქუჩებში, საერთო საცხოვრებელი სახლების ეზოებში. მოწესრიგდება თემების/სოფლის შიდა საუბნო გზები. ხდება საკანალიზაციო სისტემის,მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების, გარე განათების ქსელის, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია. ეწყობა სპორტული მოედნები, ფინანსდება ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები.
გენდერულად მგრძნობიარეა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი - ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა როგორც საცხოვრებელი სახლების ეზოებიდან ასევე ქალაქის სხვა ტერიტორიიდან, ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 805.0 ათასი ლარი.

საინტერესოა ღონისძიებები, რომელიც სოფლის მეურნეობის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება: მუნიციპალიტეტში ვაზისა და ხეხილის ეროვნული სანერგე მეურნეობიდან თანამედროვე სანერგე მასალის შეძენა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა ტერიტორიული ორგანოებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში; ტერიტორიული ორგანოების სპეციალისტების გადამზადება ხეხილის ნერგების გასხვლა-მოყვანის შესწავლის მიზნით; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით დაინტერესებული პირების გაყვანა სხვადასხვა რეგიონებში და აგრარული სექტორის მიღწევების გაცნობა; სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფესტივალებსა (ქართული ყველის, ქართული ღვინის) და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება შეფასდეს, როგორც გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებზე ორიენტირებული, რაც გენდერული პოლიტიკის კარგ მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ. სასურველია, მას დაერთოს ახალგაზრდა სპეციალისტთა მოზიდვისა და წახალისების კომპონენტი.

<u>8. ეკონომიკური საქმიანობა:</u> მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 76% ითვლება თვითდასაქმებულად (აქ არის გათვალისწინებული სოფლის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთაც საკუთრებაში გააჩნიათ ერთ ჰექტარი, ან მეტი მიწის ნაკვეთი. ან გაჩნიათ შინამეურნეობები) .

არ არსებობს სტატისტიკა, რამდენი ქალია დასაქმებული სამეწარმეო სფეროში (ბიზნესში)

ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა არ ხორციელდება. თუმცა ფაქტია, რომ სტრატეგია, რომელიც მუნიციპალიტეტში წაახალისებდა გრძელვადიან ეკონომიკურ განვითaრებაზე ორიენტირებულ პროგრამებს - არ არსებობს.

საინტერესოა, რამდენად ეფექტიანად ზემოქმედებს მუნიციპალური ფინანსები ეკონომიკის განვითარებაზე. ხდება თუ არა მცირე და საშუალო სექტორის გაფართოების ხელშეწყობა, რა უშლის ხელს; რომელი ეკონომიკური პროგრამების აუცილებლობას ხედავენმუნიციპალიტეტში: ირკვევა, რომ ამ კუთხით თვითმმართველობაში მუშაობს ერთი განყოფილება, მაგრამ ის დაკავებულია მხოლოდ სახელმწიფო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის მიმართულებით, ეხმარება სტატისტიკური მონაცემების შეგროვებაში, აკონტროლებს ვაუჩერების დარიგებას. ასევე - ეხმარება მუნიციპალიტეტს სხვადასხვა დაავადებების (ჯილეხი, ბრუცელოზი, ღორის გრიპი) პრევენციაში.

<u>**გენდერული თანასწორობა მუნიციპალური მომსახურების სფეროში**</u>

სენაკის მუნიციპალიტეტში გამგეობასა და საკრებულოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 157 ადამიანია. აღმასრულებელ ორგანოში (გამგეობაში) დასაქმებულთა რაოდენობაა - 125. აქედან, 13 - მთავარი და წამყვანი საჯარო თანამდებობის პირია (გამგებელი, 2 მოადგილე, 10 სამსახურის უფროსი). მათ შორის: 8 - მამაკაცი. 5 - ქალი, ანუ, შესაბამისად, წილი გადაწყვეტილების მიღების პროცესში - მამაკაცის/ქალის წილია - **60% / 40%. დანარჩენი -** 112 უფროსი და უმცროსი თანამდებობის პირია (გამგებლის წარმომადგენლები, განყოფილების უფროსები, წამყვანი და მთავარი სპეციალისტები).

წარმომადგენლობით ორგანოში (საკრებულოში) დასაქმებულთა რაოდენობაა - 32; მათ შორის 15 მთავარი და წამყვანი საჯარო თანამდებობის პირი (თავმჯდომარე, მოადგილე, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები). მათ შორის მამაკაცი -12, ქალი - 3, ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში შესაბამისად ნაწილდება - მამაკაცი/ქალი: **75% / 25%.** დანარჩენი 17 - უფროსი და უმცროსი თანამდებობის პირია (საკრებულოს აპარატის თანამშრომლები).

თანამდებობრივი ასპექტი: თანამდებობრივ ვერტიკალში ხელფასები დიფერენცირებულია. მუნიციპლიტეტში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ერთ დასაქმებულზე (პრემიების ჩათვლით) 2016 წელს შეადგენს 1022 ლარს. ერთიდაიგივე დონის სპეციალისტი ქალისა და მამაკაცის ხელფასების შეფარდება ერთნაირია.

სახელფასო სარგოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკრებულოს თანამდებობის პირების მთლიანი ყოველთვიური ანაზღაურება არის 27 450 ლარი, აქედან ქალების წილზე მოდის 5200 ლარი (19%). რაც შეეხება საკრებულოს აპარატს, აქ ყოველთვიური სახელფასო განაკვეთის თანხაა 13 820 ლარია, საიდანაც ქალების სარგებელია 7300 ლარი (52.8%), ხოლო კაცების - 6520 ლარი (47.2%).

საკრებულოს/გამგეობის ოფიციალურ გვერდზე ინფორმაციები გენდერულ ჭრილში (მაგ. დასაქმებული პერსონალის გენდერული სურათი და სხვა) არ არის განთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ არის ახალგაზრდულ და გენდერული თანასწორობის საქმეთა განყოფილება, რომელსაც ეს პირდაპირ უნდა ევალებოდეს.

ადგილობრივი შრომის ბაზრის გენდერული ასპექტები: ინფორმაციის მოპოვება - თუ როგორია შრომის ბაზრის გენდერულად სეგრეგირებული სურათი, ან დასაქმების მაძიებელთა და დასაქმებულთა ხვედრითი წილი - შეუძლებელი გახდა. ეკონომიკის სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციით, სენაკიდან ბაზაში დარეგისტრირება თითქმის არ ხდება: მიმართვა სენაკიდან 2016 წელს მხოლოდ 13-ია. 2015 წელს კი - 43. ეს მაშინ, როცა რეგიონის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის მიხედვით უმუშევრობის მაჩვენებელი საგანგაშოა. მოსახლეობა ძირითადად შინამეურნეობითაა დაკავებული. პროდუქცია ძირითადად კომლების საჭიროებაზეა გათვლილი და ნაკლებად ხდება ორიენტაცია ბაზარზე და პროდუქტის წარმოებაზე. სპეციალისტთა აზრით, ეს გარკვეულწილად სახელმწიფო შემწეობაზე ჩამოყალიბებული დამოკიდებულების გავლენაა და ამ ფენომენის შესაბამისი ანალიზის საჭიროებაზე მიუთითებს.

თვითმმართველობის მესვეურნი აღნიშნავენ, რომ საჭიროა სახელმწიფომ შეუკვეთოს მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა. ეს არ არის იაფი, დაახლოებით 500 000 (ანუ ნახევარი) მილიონი ლარი ღირს, მაგრამ ეს იქნება კომპლექსური მიდგომა ყველა საჭიროების გათვალისწინებით.

იგპ (დევნილთა) მიმართ პოლიტიკა, როგორც თვითმმართველობის გენდერული პოლიტიკის ნაწილი: გამომდინარე იქედან, რომ განხორციელდა არაერთი ერთობლივი ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროექტი, შეიძლება ითქვას, რომ დევნილთა და განსახლების ადგილობრივ და ცენტრალურ სტრუქტურებს შორის არსებობს თანამშრომლობა და კოორდინაცია. მათი საჭიროებების გათვალისწინებით ისინი ნებისმიერი მუნიციპალური სოციალური პროგრამების ბენეფიციარები არიან. თუმცა გენდერულად სენსიტიური ღონისძიებები, რომელიც გულისხმობს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფებისთვის (ამ შემთხვევაში - იგპ) სპეციალურ პროგრამებს მათი მდგრადი განვითარების ხელშესაწყობად, ამ შემთხვევაში არ არის.

გენდერული პარამეტრების დასანერგად ადგილობრივი რესურსების გაზრდის პოლიტიკა

ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული მიდგომების დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის განსხვავებული საჭიროებებისა და პრობლემების გათვალისწინებაა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს სოციალურად მგრძნობიარე, საზოგადოებრივ ინტერესზე დამყარებული ადგილობრივი პოლიტიკის განხორციელებას, რისთვისაც ადგილობრივი რესურსები მაქსიმალურად უნდა იქნეს მიმართული მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისათვის.

სენაკის მუნიციპალიტეტში არსებობს დემოგრაფიული პრობლემები - იმ მუნიციპალიტეტების ჩამონათვალში, სადაც დემოგრაფიული პრობლემები ფიქსირდება და შობადობის მაჩვენებელი არის დაბალი, სენაკის მუნიციპალიტეტიც აღმოჩნდა და ამიტომ ასეთ კატეგორიაზე გამოყოფილია 150 ლარის დახმარება.

დემოგრაფია: სენაკში არის სამშობიარო სახლი, სადაც 2015 წელს 1500 ბავშვი დაიბადა. იყო ახალშობილების დაღუპვის შემთხვევები. მსგავს შემთხვევებში მიზეზებზე საუბრისას ყველაზე ხშირად ადანაშაულებენ ექიმს. არსებობს შესაბამისი სამსახურები, კომისიები, რეგულირების დეპარტამენტი, ხდება კონკრეტული

შემთხვევების ანალიზი. თუმცა. სპეციალისტები აცხადებენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ორსულის მოვლას, კვებას, სტატუსს, თუნდაც მის ჯანმრთელობას. თვითმმართველობას აქვს პასუხისმგებლობა, ხელი შეუწყოს ორსულების და ახალშობილების ჯანმრთელობას, ასევე - ჩაატაროს სათანადო მუშაობა ადრეული ქორწინებების თავიდან ასარიდებლად.

საინტერესოა, რა მდგომარეობაა სენაკში გენდერულად სენსიტიური საკითხების თვალსაზრისთ, როგორიცაა წყალმომარაგება, გაზიფიცირება, წყალარინება. როგორც ირკვევა, სასმელი წყლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით სენაკში სისტემა გამართულია და გაისად მთელი ქალაქი იქნება წყლით მომარაგებული. თუმცა სასმელად უვარგისი წყალი სოფლებში ურთულესი პრობლებაა. იმ თემებში, სადაც არ არის ცენტრალური წყალმომარაგება, წყლების სინჯით მათი 80% დაბინძურებულია. ამ დროს კი საქართველოს ევროკავშირის წინაშე აქვს აღებული ვალდებულება, რომ 2020 წლისთვის ცენტრალური წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყველა მოქალაქე. მოხდეს დეზინფიცირება, ბაქტერიების მოსპობა.

რაც შეხება გაზიფიცირებას, ეს პროცესი არ არის დამთავრებული. ირკვევა, რომ თვითმმართველობა ეხმარება მოსახლეობას, გააკეთოს განვადება (გაზის შეყვანა 600 - 700 ლარი ჯდება), მაგრამ აქ ოპერირებადი კომპანია „გასკო+“ არ არის მოტივირებული დიდი შეღავათებისთვის და თვითმმართველობის არაერთი მცდელობა, თანამშრომლობა ჩამოეყალიბებინა საკითხების დასარეგულირებლად, უშედეგოდ დამთავრდა. ერთერთი მიზეზი ისაა, რომ „გასკო+“ პრობლემური კომპანიაა.

როგორც ირკვევა, სენაკის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროგრამებში არ არის ასახული გაეროს გლობალური - „მდგრადი განვითარების მიზნები“ და გენდერული თანასწორობის ამოცანები, თუმცა თვითმმართველობის წარმომადგენლები თვლიან, რომ ეს უმნიმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია გენდერული პოლიტიკის რეალიზებისთვის და აუცილებლად უნდა მოხდეს ამ საკითხების ინტეგრირება ადგილობრივ ბიუჯეტში.

IV. რეკომენდაციები

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენისას მოსახლეობის ყველა ჯგუფის სპეციფიკური საჭიროებების გენდერულ ჭრილში სრულად და სამართლიანად გასათვალისწინებლად, უმჯობესია თვითმმართველობა დაეყრდნოს არა მხოლოდ ტერიტორიული ერთეულებიდან წარმოდგენილ და დეპუტატების მიერ შემოთავაზებულ წინადადებებს, არამედ ევროკავშირის ქვეყნებში დამკვიდრებულ საჭიროებათა სოციალურ–ეკონომიკური კვლევების თვითონ მოსახლეობის აქტიური ჩართულობით ჩატარების პრაქტიკას.
2. ამასთან დაკავშირებით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს საერთაშორისო დონორთა მიერ გამოყოფილი გრანტები, მათი მოპოვება შესაძლებელია პერიოდულად გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის გზით. ასეთ

კონკურსებში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს სენაკის მუნიციპალიტეტმა, ან/და ადგილობრივმა NGO-ებმა, თვითმმართველობასთან ერთად.

3. -გენდერული პოლიტიკის ეფექტურად გატარებისათვის მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს კარგად გააზრებული, საზოგადოებასთან შეთანხმებული და შეძლებისდაგვარად, საერთაშორისო პრაქტიკასთან შეჯერებული გენდერული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსახლეობის წარმომადგენელი კომპეტენტური ქალებისა და კაცების ჩართულობა, ბიუჯეტის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, სქესის ნიშნით მონაცემთა ბაზის ფორმირება და ა.შ.
4. ასეთი მიდგომით შედგენილი მუნიციპალური ბიუჯეტი უფრო მეტად შეესაბამებოდეს იქნება საერთაშორისო სტანდარტებს, გაეროს მიერ შემუშავებულ მდგრადი განვითარების გლობალურ მიზნებს და ამ დოკუმენტში გენდერული მიმართულებით დასახულ ამოცანებს. ამისათვის, სენაკის მუნიციპალიტეტს ყველა წინაპირობა გააჩნია.
5. სენაკის მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტის მაღალ დონეზე შემუშავება და ბოლო წლებში მიღწეული პოზიტიური შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველობას მისი საქმიანობის ყველა მიმართულებით ექნება საკუთარი, წლების მიხედვით შედარებადი მონაცემთა ბაზა (რეალური სტატისტიკა). მარტო ეროვნული სტატისტიკა ყოველთვის ობიექტურად ვერ ასახავს ქალაქებში და რაიონებში არსებულ რეალურ მდგომარეობას, გამოკვეთილ ტენდენციებს.
6. ამის გაკეთება თვითონ სენაკის რაიონის და მისი მოსახლეობის ინტერესებშია. აუცილებლად უნდა იქნეს დაძლეული იმის შიში, რომ ასეთ მონაცემთა ბაზას სათავისოდ და არაკეთილსინდისიერად გამოიყენებს რომელიმე პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკოსი.
7. უნდა დაინერგოს ყოველი მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ მომდევნო გუნდისთვის აღნიშნულ მონაცემთა ბაზის ოფიციალურად საჯაროდ გადაცემის პრაქტიკა.
8. როგორც გენდერული, ისე ქალაქისთვის ნებისმიერი სხვა მნიშვნელოვანი საკითხების (საჭიროებების) მოგვარებისა და მართვის პროცესში კარგი იქნებოდა მოხალისეების ჩართვა. საერთოდ, მოხალისეობის ინსტიტუტის ევროპული პრაქტიკა შესწავლასა და დანერგვას მოითხოვს.
9. მოხალისეობის მაგალითის მიმცემი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პედაგოგები, სხვა ცალკეული პირები რაიონში ან რეგიონში ყოველთვის მოიძებნებიან.
10. განათლების სისტემაში ახალგაზრდა პედაგოგების, უპირველესად მამაკაცების მოსაზიდად, კარგი შედეგის მოტანა შეუძლია სკოლებში კურსდამთავრებულების სავალდებულო მინიმუმ 1-წლიანი სტაჟირების შემოღებას.
11. საერთოდ, ყველგან წასახალისებელია 25-45 ასაკში ახალგაზრდა პედაგოგების საჯარო სკოლებში მუშაობა. ამისათვის, ლოგიკური იქნებოდა

კანონპროექტის ინიცირება, რომლის თანახმად იმ პედაგოგებს, რომლებმაც აღნიშნულ პერიოდში სკოლებში უწყვეტად იმუშავეს, პენსიაზე გასვლისას დაენიშნოთ გაორმაგებული პენსია.

12. მაღალი გენდერული კულტურის ოჯახში და საზოგადოებაში შემოტანის ეფექტური გზა შეიძლება გახდეს პირველ ეტაპზე სკოლამდელ განათლებაში ინოვაციური მეთოდებისა და ინსტრუმენტების შემოღება. ერთ–ერთი ასეთი ინოვაციური ინსტრუმენტი იქნებოდა საბავშვო ბაღების ყველა ასაკობრივი ჯგუფების აღმზრდელებად გენდერულად სათანადო მომზადების მქონე, კონკურსის წესით შერჩეული კაცის და ქალის დანიშვნა (შეიძლება იყოს ცოლ-ქმარი). ერთ ჯგუფში ერთდროულად 2 აღმზრდელის (კაცის და ქალის) ერთად მუშაობა, მათ მიერ ჯგუფებში დახვეწილი ურთიერთობების დემონსტრირება და პირად მაგალითზე ბავშვების აღზრდა აღმოფხვრიდა იმ უამრავ ნაკლოვანებას, რომლებიც სამწუხაროდ, ბევრ ოჯახში არსებობს. სასურველია, არ დაველოდოთ „ზემოდან“ წამოსულ რეფორმებს და მუნიციპალიტეტმა საკუთარი ინიციატივით, თვითონ შექმნას რამდენიმე პილოტური ჯგუფი და სცადოს პროფესიონალურად დამუშავებული სიახლის მოსინჯვა. თავიდან ეს არ იქნება დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული. წინასწარი ვარაუდით, ინიციატივის რეალიზება, რომელიც იდეალური ოჯახური აღზრდის მოდელის საბავშვო ბაღების ჯგუფებში შემოტანას ნიშნავს, საინტერესო, პოზიტიურ შედეგებს მოიტანს, სკოლამდელი განათლების რეფორმაზე დიდ გავლენას იქონიებს და ქვეყანაში ახალი, საუკეთესო ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული გენდერული კულტურის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს. ამასთან, აღნიშნული იდეა - წინადადება კარგი საფუძველი იქნებოდა რომელიმე პროფილური ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციისათის.

13. ეკონომიკური საქმიანობის სფეროში, როგორც რიცხოვნობის, ისე ანაზღაურების თვალსაზრისით არსებული აშკარა გენდერული დისბალანსის შესამცირებლად, სენაკის თვითმმართველობამ შემდგომი წლების ბიუჯეტებში სასურველია, გაითვალისწინოს მიზნობრივი ხარჯების გარკვეული ზრდა იმ ადგილობრივი NGO–ის თანადაფინანსებისათვის, რომლებიც პრიორიტეტულად ქალთა ბიზნესის განვითარებისკენ მიმართულ პროექტებს განახორციელებენ. პრობლემების გადასაჭრელად თვითმმართველობის, სამოქალაქო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალწლიანი მიზანმიმართული თანამშრომლობაა საჭირო.

14. სენაკის თვითმმართველობასა და ქალთა ფონდი „სოხუმს“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და გენდერულ საკითხებზე ერთობლივი მუშაობა ნაყოფიერია. ეს ფაქტი მისასალმებელია. დაწყებული თანამშრომლობა სასურველია, შემდგომშიც გაგრძელდეს და მას მომავალში მეტი მასშტაბები მიეცეს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შედეგად, სენაკის

მუნიციპალიტეტში დეპუტატების და ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე პირების რაოდენობრივი და მათი შრომის ანაზღაურების რეალური გენდერული ბალანსი თანდათანობით დამყარდება.

და ბოლოს:

„ქალის პატივისცემა ეს წმინდა ვალია, ამას მამაკაცი დაბადებიდან უნდა სწავლობდეს“, - ფელიქს ლოპე დე ვეგა, ესპანელი მწერალი.